უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი **02.09.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში-თავმჯდომარე);
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში-მდივანი);
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
ირინე კვახაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე;
კახაბერ ერაძე - „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის" მენეჯერი;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო რუხაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. ირმა გრძელიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. გოჩა ჩავლეიშვილი - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. შალვა ჭკადუა - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ნინო მოდებაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი
5. ნუგზარ ძამუკაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

6. ნინო ხაბეიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. ხათუნა მხეიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი;
8. მარიამ ყავრელიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
9. ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
10. ლელა გერგეშელიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის, ასისტენტ-პროფესორი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
დავით ბოსტოღანაშვილი;
თამარ გვიანიშვილი;
თეა ნადირაძე;
პეტრე ბაბილუა;
ეკატერინე გიგაშვილი;
მადონა გოგობერიშვილი;
მაყვალა დარსანია.

სხვა დამსწრე პირები:
ნიკოლოზ გოგოჭური - ვიზუალური ეფექტების და კომპიუტერული გრაფიკის განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, პროფესიული განვითარების ექსპერტი;
დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:23 საათზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1^2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა ნიკოლოზ გოგოჭური, ვიზუალური ეფექტების და კომპიუტერული გრაფიკის განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, პროფესიული განვითარების ექსპერტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა საბჭოს წარუდგინა ორი შუამდგომლობა: პირველი ეხებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ითხოვდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამების დამატების შეწყვეტას; მეორე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვის გაუქმებას.

საბჭომ ორივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

დანიელ დავითაშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, მისცემოდა მოდულურ პროგრამებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების საშუალება. მან აღნიშნა, რომ მოდულური პროგრამების დანერგვის მომხრე იყო, თუმცა ისინი მხოლოდ პილოტირების შემდგომ უნდა განხორციელებულიყო. მისი თქმით, პრემიერ-მინისტრის ბრძანების იგნორირება დაუშვებელი იყო და საბჭოს სთხოვა გაეთვალისწინებინა მის მიერ აღნიშნული გარემოებები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განცხადება ყურადსაღები იყო, მაგრამ ვინაიდან საბჭო ცენტრის დებულებით ხელმძღვანელობდა, დღის წესრიგი უნდა განეხილათ.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ტემპუსის ფარგლებში განხორციელდებოდა რაც მათთვის საინტერესო სიახლე იყო, რადგან ერთობლივი პროგრამა არასდროს განუხორციელებიათ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამას წარმოადგენდა, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემოდა ერთობლივი დიპლომი, სამივე უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით. დაწესებულების წარმომადგენლებმა პროგრამის წარმატებული განხორციელების იმედი გამოთქვეს.

ირინა ხანთაძე პროგრამის შემუშავების პროცესის ხანგრძლივობით დაინტერესდა. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროგრამაზე სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა. მისი განმარტებით პროგრამა იყო ინოვაციური, რადგან მასში სამი უნივერსიტეტის რესურსი ერთობლივად იყო ჩართული. ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა, რამაც აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირების დეფიციტი გამოავლინა და მათ შევსებას დაწესებულება კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდით აპირებდა. ირმა გრძელიძემ დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამა განხილული და დამტკიცებული იყო სამივე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

ექსპერტთა დასკვნა დავით ბოსტოღანაშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის არცერთი სტანდარტი დარღვეული არ ყოფილა. ერთობლივ პროგრამაში ჩართულ სამივე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი და გააჩნდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ლაბორატორიები, ასევე შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იგეგმებოდა თუ არა პროგრამის განხორციელება მომდევნო სასწავლო წლიდან, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელონ შემდეგი ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მაგისტრატურა	ბიოსამედიცინო ინჟინერია	ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა ყველანაირი რესურსი პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სტუდენტების ხარისხიანი განათლებით უზრუნველსაყოფად. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დასაქმების ბაზრის კვლევის საფუძველზე, დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ პროფესიულ პროგრამებზე მოთხოვნის არსებობა დგინდებოდა.

ექსპერტებმა თეა ნადირაძემ და პეტრე ბაბილუამ აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა სამი პროფესიული პროგრამა, ჩატარდა რიგი ინტერვიუების პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებთან, რის საფუძველზეც, დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დასტურდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ძრავის შემკეთებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	ავტომობილის შემკეთებელი - ელექტროტექნიკოსი	ავტომობილის შემკეთებელი - ელექტროტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040767	60	IV
2	ძრავის შემკეთებელი	ძრავის შემკეთებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	V
3	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040610	45	III

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები შექმნილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით მემორანდუმები ჰქონდათ გაფორმებული, ასევე უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით იყო აღჭურვილი.

ექსპერტთა დასკვნა წარადგინა ეკატერინე გიგაშვილმა, რომელმაც აღნიშნა რომ დასამატებლად წარმოდგენილი იყო არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულებაში ზოგადი სურათი პოზიტიური იყო, თუმცა დასკვნის პროგრამულ ნაწილში სურდა რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება:

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შედგენილ სავალდებულო მოდულების ნუსხაში კოლეჯის მიერ მოდულების ადაპტირების პროცესში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. რაც შეეხება არჩევით მოდულებს, ჩარჩოში მოცემული იყო მხოლოდ ერთი 3 კრედიტიანი არჩევითი მოდული „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა AutoCAD Architecture 0730216“, ხოლო ორგანიზაციას დამატებული ჰქონდა 5 არჩევითი მოდული:

- დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში 0610706;
- საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-2 (3D მოდელირება) 0710105;
- საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad (ვიზუალიზაცია და ანიმაცია)0710106;
- საინჟინრო გრაფიკა 0710108;
- რუსული ენა 0230101

ექსპერტის განმარტებით, მოდულები არჩეული იყო დამტკიცებული მოდულების ბაზიდან. არჩევითი მოდულებისთვის განკუთვნილი კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 20 კრედიტს, რაც სრულად აკმაყოფილებდა მეოთხე საფეხურის მოდულური პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს.

ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადრეც ახორციელებდა პროგრამას და მატერიალური რესურსიც ჰქონდა, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებს დამატებითი შეძენის ხელშეკრულებები და სატენდერო დოკუმენტებიც წარედგინათ. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსი, რომლის ბაზაზეც უნდა განხორციელებულიყო არქიტექტორ ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა, იყო რემონტში. ეკატერინა გიგაშვილმა აღნიშნა, რომ მოდულებით განსაზღვრული ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების

დამადასტურებელი ხელშეკრულებები - კომპიუტერული მოწყობილობების ოპტიკური ხელსაწყოებისა და რეპროდუქორების შესაძენად, ავეჯისა და გასანათებელი მოწყობილობების და საზომი ხელსაწყოების შესაძენად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები დანართად ერთვოდა დასკვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე წარმოადგინა ინვენატირს შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).

საბჭოს წევრები ფართით, მასწავლებელთა და სტუდენტთა რაოდენობით დაინტერესდნენ. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფართი საკმარისი იყო, მაგრამ იმ ეტაპზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და მატერიალური რესურსი საწყობში იყო გადატანილი. რაც შეეხება მასწავლებლებსა და სტუდენტებს, პროგრამაში 20 მასწავლებელი და 25 სტუდენტი იყო ჩართული და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 20 ერთეულით გაზრდის სურვილი ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	არქიტექტორ-ტექნიკოსი	არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 110153	106	IV	20

4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები შექმნილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ცდილობდა ფეხი აეწყო მოდულური პროგრამებისთვის, თუმცა დროის სიმცირის გამო დასკვნაში აღნიშნული იყო გარკვეული პრობლემები. მიუხედავად აღნიშნულისა, ყველაფერი დადგენილ ვადებში იყო დასრულებული.

ავტორიზაციის ექსპერტმა, მაყვალა დარსანიამ საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება სამ მოდულურ პროგრამას იმატებდა. ვიზიტისას ძირითადად ტექნიკური ხასიათის უზუსტობები იქნა აღმოჩენილი, რაც ვიზიტის ფარგლებშივე გასწორდა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქნდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სახელოსნოები, თუმცა - ხატვის, გობელენის და თექის დამუშავების სახელოსნოები საჭიროებენ სველი წერტილების მოწყობას, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებამ წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან სახელოსნოებისთვის აუცილებელი ნივთებით მომარაგებასთან დაკავშირებით ასევე აწარმოებდნენ მიმოწერას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული სააგენტოსგან მიიღეს ზეპირი განმარტება იმის თაობაზე, რომ სააგენტო აღარ აპირებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის თანხების გამოყოფას. წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ მიუხედავად ამისა, დაწესებულება შეასრულებდა დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე, დაინტერესდა ცალკე მდებარეობდა თუ არა შენობა, სადაც აპირებდა პროფესიული პროგრამების განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობა მდებარეობდა ცალკე.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა თუ რა გეგმები ჰქონდა დაწესებულებას მასალებით მომარაგებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებები უკვე გაფორმებული ჰქონდათ. ამასთანავე მეორე სართულზე იყო სველი წერტილებისა და ტრაპის დამონტაჟების საშუალებაც.

საბჭოს თავმჯდომარე თითოეულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჯერად პროგრამაზე 10 სტუდენტი ჰყავდათ და შემდგომში მხოლოდ მოდულურ პროგრამაზე აპირებდნენ სტუდენტების მიღებას. დაწესებულება თვლიდა, რომ ამ ეტაპისთვის 10-10 სტუდენტის მიღება საკმარისი იქნებოდა, გარდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის

პროგრამისა, სადაც აპირებდნენ 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. წარმომადგენელმა დასძინა, რომ მთელი საქართველო ელოდებოდა ამ პროგრამის დამტკიცებას და რომ ამ პროგრამაზე დიდი მოთხოვნა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ დასკვნაში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, თექის ოსტატის პროგრამა ნაცვლად 80 კრედიტისა, იყო - 82 კრედიტი. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა მაყვალა დარსანიაც და აღნიშნა, რომ პროგრამა იყო 82 კრედიტიანი.

განხილვაში ჩაერთო კახაბერ ერაძე, რომელიც დაწესებულებას მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მომავალ წლის გათვალისწინებით მსჯელობას ურჩევდა. მისივე რჩევით, უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას უფრო მეტი სტუდენტის კვოტა გამოეყენებინა და ორ სასწავლო წელზე გადაენაწილებინა.

ექსპერტმა პასუხად აღნიშნა, რომ დაწესებულების ფართის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე მხოლოდ 14 სტუდენტის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. თუ დაწესებულება ორ ცვლაში განახორციელებდა სასწავლო პროცესს, ამ შემთხვევაში მეტი სტუდენტის მიღებასაც შეძლებდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი დაწესებულების სურვილისამებრ უნდა გადაწყვეტილიყო, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 231187168) მიენიჭოს

უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისაწიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	თექის ოსტატი	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080382	82	III	10
2	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080359	120	IV	10
3	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	130	V	20

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები შექმნილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე თავის წარდგენის შემდეგ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოუყო თანხა, რითაც დაწესებულებამ საჭირო დანადგარები შეისყიდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტმა, პეტრე ბაბილუამ წარადგინა. მან ყურადღება შემდეგ საკითხზე გაამახვილა:

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულება აღჭურვილი იყო 10, 20, 50 და 100 ადგილიანი აუდიტორიებით, ადმინისტრაციისათვის და ტექნიკური პერსონალისათვის განკუთვნილი ოთახებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განხორციელება გათვალისწინებული იყო A, B და C ტიპის გარემოს ოთახებში. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მთელ შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. დაწესებულების A და B ტიპის ოთახები მათი რაოდენობა და აღჭურვილობა შეესაბამებოდა მოდულების მიზნებს და ამოცანებს. რაც შეეხებოდა C ტიპის გარემოს ოთახებს, ისინი მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის ჯერ მზად არ იყო. წარმომადგენლების განმარტებით სარემონტო სამუშაოები სწავლის დაწყებისთვის დასრულდებოდა. რაც შეეხება C ტიპის ოთახების აღჭურვილობას, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი მიწერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის გ. გაგოშიძის სახელზე დაფინანსების გამოყოფის თაობაზე მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით 112445.51 ლარი თავისი სრული ჩამონათვალით (რაც შეესაბამება მინიმალური აღჭურვილობის სტანდარტებს).

თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაწვრილებით განემარტა აუდიტორიებთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განმარტა, რომ ჰყავდათ დაახლოებით 1900 სტუდენტი. აქტიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინვენტარის დიდი ნაწილი იყო უკვე შესყიდული.

საბჭოს თავმჯდომარე თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობით დაინტერესდა.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობები: არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხური - 20 ადგილი; კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხური - 20 ადგილი; სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხური - 20 ადგილი; ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხური - 10 ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული ოდენობა
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი მესამე საფეხურის	78	III	20

		პროფესიული კვალიფიკაცია 040679			
2	არქიტექტორ-ტექნიკოსი	არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 110153	106	IV	20
3	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040778	106	IV	20
4	ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080381	120	IV	10

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 16:37 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე